ქვირა, 27 სექტემბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 16

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

მე XXXIXე სამეურნეო
გამოფენა
ქუთაისში.

ქუთაისის გამოფენა
არ გინახავთ განა თქვენა?!
მაშ მიბრძანდით, ინახულეთ
მეურნეთა აღმაფრენა!!!
  იტყვის ზოგი სალახანა:
„არ ხარობსო იქ ლახანა“...
(ერთი მომცა სამათრახოთ
ცრუ მეტყველი ამისთანა!!)
საარაკო სანახავი
იქ უწყვიათ ორი თავი...
(ერთს თეთრათ და ერთსაც წითლად
შეღებილი უჩანს ტყავი).
  ახლა ნახეთ თქვენ სტაფილო...
(ოჰ, სამშობლოვ, დალოცვილო!)
თითის სიგრძე არ გეგონოთ,
ისეთია როგორც სპილო!
  ახლა სიმინდს არ იკითხავ?
შენს მადლსა და შენ მზეს ვფიცავ,
იმის სიგრძე უშოვიათ
რომ ერთ ტაროს ველარ ზიდავ.
  საარაკო, გემო ცხარი,
ორი ბოთლი უდგათ ძმარი...
(ადგილობრივ სარდაფებში
ჭირის ოფლით მონაგარი).
  სვირის ღვინოც უდგათ ტიკით,
(ვინც ლოთი ხართ, იქით მიდით
არ ეძალოთ, თორემ ვიცი
„ქვებს გასვრიებთ კუდის რიკით“)
  იქავე ერთი კვახი,
საოცარი დასანახი

ასი ფუთი მეტი მოვა
თუმც უშნოა და ახმახი.
ახლა მოდით, ნახეთ ნესვი!!
(ამოვარდა მისი ფესვი!!)
არც მსმენია დუნიაზე
ამის მსგავსი დანათესი.
მთლად ამ ტურფა სანახავებს
(ბოლოკებს და ხახვის თავებს)
მარჯვე ბიჭი თუ არ არის
საათში ვერ მოათავებს.
როგორც მცველი ანგელოზი,
ხმა ტკბილი, ხმა სირინოზი,
გამოფენას თავს ევლება
მამლაყინწა კურნაროზი.
საუცხოვო ქათმის ჯიში,
(მას არა აქვს ქორის შიში)
ყველაფრამდი საჭიროა
როგორც ლხინში, ისე ჭირში.

—კი.

ეშმაკის ინტერვიუ

ნ. ლორთქიფანიძესთან.

ცოდვა გამხელილი სჯობია, ეს მწერალი, დღიდან თავისი ქართულ პრესაში მოვლინებისა მუდამ ჩემის სიმპატიით სარგებლობდა. და ეს იმიტომ, რომ ის არ არის ავათ ცრუ თავმოყვარეობით, ის არ ცდილობს მშრალზე გვიდეს, წინ წამოდგეს. თაობიდანვე ქართული პრესის ჭაობში დგას და თავგამოდებით იცავს ჭაობის ბინადართა პრინციპებს.

მას ურჩევნია ჭაობი
მინდორ-ველს ყვავილოვანსა,
ბულბულის ჰანგზე არ გასცვლის
ბაყაყსა ტკბილსა ხმოვანსა.

აი თუნდა გასინჯეთ: ნეტარ ხსენებულ „ნიშადურში“ იელვა მისმა, ღვთაებრივმა ნიჭმა, იქ დაისხა კოკორი, მისი კეთილ სურნელოვანებით დაიფერა მწვანე ყვავილები და როცა ეს ჭაობი დაშრა, როცა იქ სიცოცხლე შესწყდა, არხეინათ, უკვე შარავანდედით გაბრწყინებული გადაფრინდა ის მეორე ჭაობში, ანუ მეორე წუმპეში, რომელსაც „ევერია“ ეწოდება.

და აი ამისთვის მომწონს მე ნ. ლორთქიფანიძე და ამისთვის ამოვირჩიე ის დღევანდელი ინტერვიუს საგნათ.

—ზარები მოშლილია, ბ-ნო, დაუკაკუნეთ, მითხრა მეზობლის ბიჭმა.

გამეცინა და დავუკაკუნე.

— მობრძანდით, მობრძანდით! გამომეგება თითონ მასპინძელი.

—უკაცრავათ, ვგონებ შეგაწუხეთ?...

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო ეშმაკო! წარმოიდგინეთ ჩვენ ეშმაკებიც კი ვერ შეგვაწუხებენ.

— ეშმაკები ვერა მაგრამ რუსის ხალხი კი გაწუხებთ მგონი! არა?

— წაიკითხეთ „ევერიაში“?

— წავიკითხე და მართალი მოგახსენოთ მე თქვენი ნაწერებიდან ამრიგად არაფერი მომწონებია.

— ბარემაც რომ მოსაწონია!

— მე მომეწონა თქვენი აზროვნების სინათლე, იმისი სიმშვენიერე, სიფაქიზე, სისწორე, მიუდგომლობა, სათნოება, კაცთ-მოყვარული გრძნობა, ფხიზელი შეხედულობა..

— ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც მე ჩემს სამხედრო წერილში ჩავაქსოვე.

— ყველაფერი, მაგრამ ყველაზე უფრო მისი დასკვნა.

— ბ-ნო ეშმაკო, თქვენ ხო არ დამცინით?!

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, აქ საცინელიც არაფერია!

— „დროებას“ კი მოხვდა მაგრათ ცხვირში!

— მე განცვიფრებაში მოვყევარ თქვენს საუცხოვო ხსოვნას. აი მაგალითად იმ „შეგნებულ“ მუშასთან საუბარი რომ გაგახსენდათ.

— რომ არ გამხსენებოდა ძალით გავიხსენებდი. მე საზოგადოთ ძალის მომხრე ვარ. შეგნება „დროების“ რედაქციისთვის დამილოცნია.

— აი სწორეთ მაგისთვის მომწონს თქვენი რაინდული კილო: „პროპაგანდას რო ადამიანის თვისებათა გადასწორება შეეძლოს, ჩვენ დაგვასწრებდენ! საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი და სხვ. ამ საშვალებას მიმართავდენ და სისხლს აღარ დაღვრიდენ“ ოჰ ოჰ, ღმერთო ჩემო, რა კეთილი, რა გონივრული დასკვნა გამოდის ამ ორიოდ სიტყვიდან. მიკვირს ქართველი ხალხი რატომ ვერ მიმხვდარა თქვენს გონერებას?

— ხალხი ბ-ნო ეშმაკო, ს. დ. დაიმონაგეს. აი თუნდა იასეს ჰკითხეთ!

— ერთი ორი ასეთი წერილი და ხალხი თქვენ ამოგიდგებათ გვერდში. საქართველოს კეთილ-დღეობის სურვილი არა ერთსა და ორს მამულიშვილს უძგერებს გულს. თქვენ თამამათ შეგიძლიათ მათი

წინამძღვარობა. რუსეთის ხალხის განვითარებას ხომ ათასი წელი დასჭირდება და ნუ თუ ჩვენამ დროს უნდა ვუცადოთ, ნუ თუ საქართველოს მანამდე არ უნდა ეშველოს რამე? ამ ხნის განმავლობაში ხომ აღვიფხვრებით პირისაგან ქვეყნისა? გვიწინამძღვრე დიდებულო მწერალო, გვიწინამძღვრე!

— ეგ რა მესმის! ბ-ნო ეშმაკო, თქვენ ჩემს სულში ჩაძვერით! თქვენ იმ სიმებს შეეხეთ, რომელიც ჩემს ხალხსა და ჩემს ტვინს შუა გაბმულა! ასე მგონია თქვენ ჩემს სიტყვებს იმეორებდეთ! მომეცით ხელი!

მწერალი იმ ზომ აღელვებული იყო, რომ ხელის მიცემა შემეშინა არ მიკბინოს მეთქი.

— დამშვიდდით ბ-ნო ნიკოლოზ, დამშვიდდით. დღეს ხომ შეუძლებელია ჩვენი ამხედრება. ჯერ თქვენ ერთის მეტი ასეთი „შემოხვევითი წერილი“ არ დაგიწერიათ, ჯერ ხალხს მომზადება უნდა.

— მაშ ახლავე დავწერ. ამ წამშივე! მოიტათ ქაღალდი! კალამი... ყარანდაშები... მოიტათ მელანი! მელანი ქვევრით მელანი!... მოიტათ...

საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი. აღარ ვიცოდი რა მექნა. უშველოს ღმერთმა მსახური ბიჭი შემოვარდა და აღტყინებულ მწერალს ცივი ტილო მოეშზადა.

ისიც დამშვიდდა.

— ეს დღე უწარჩინებულესი დღეა საქართველოს ისტორიაში! კვალად დაიწყო მან.

— დღეს ჩვენს მამულს მოევლინა მხსნელი, და ეს მხსნელი ვარ მე... მსახურნი სწეწდენ ლამაზ ფრთებს ამაყ ფრინველსა... ბ ნმა ბრძანა: ფრთებს ნუღარ აგლეჯთ... ოჰ დიდებულო სამშობლოვ!!. ბატს ფრთები ეზრდებოდა... თავს სუსტად გრძნობდა... აბდულ-გამიდი, ის მტარვალი და მტანჯველი ქართველი ერისა, დღეს განცხრომით განაგებს არაბთა მომთაბარე ტომთა რაზმებს...

მსახურმა გამაფრთხილა სიტყვა არ შემებრუნებია. ის, უკვე მრავალ-გზის გამოცდილი, მარწმუნებდა, რომ ბატონი მალე დაწყნარდება მღელვარებისაგან და კიდევ განაგრძობთ საუბარსო. მეც დავემორჩილე თუმცა ძლიერ მინდოდა გამეგო: რომელ ბატზე იყო ლაპარაკი, იმ ბატზე, რომელის შესახებაც „ერის“ მეორე ნომერში სწერია და რომელიც იქაურებზე უფრო ჭკვიანად არის ცნობილი თუ სხვა რომელიმეზე. ჩემი აღფრთოვანებული მასპინძელი კვალად განაგრძობდა:

— ჩამოდექით მოსისხარნო... ბატი ეხლა ხერხიანად იმალება... ის იმალება ჩემში!!! შორს არწივო, შორს მტაცებელო და მსუნაგო. შენ გინდა გული ამომაგლიჯო მე... მე უმწეო ბატსა... ვერა... ვერა... აბდულ გამიდი, მეფე ირანისა.... სანადიროთ წავიდა... ჩემს ყურს ესმის ჭიხვინი აქლემებისა, ღმუილი ლომთა... ოჰ ბატო, ბატო! შენ ხარ მე... მე ვარ შენ!.. ბაზიერთა წრუპუნი... ბუკის ხმა! ქართველო ხალხო? შენ მოგიხმობ ქართველო ხალხო! რა არის ბუკი .. რა არის ბუკი მეთქი.... აბდულ გამიდი, ინდოთა სარდალი, მოგიხმობს თქვენ და ეს სარდალი მე ვარ!.. მე ვარ გარეული ბატი! მე მაგლეჯდენ ფრთებს, მე მწიწკნიდენ ბოლოებს, მე მტანჯამდენ და მაწამებდენ!.. ხალხო, ხალხო!.. ნუთუ ბატებიც ჩემზე ჭკვიანნი უნდა იყვნენ, ნუ თუ ინდოურნიც მე უნდა მჯობდენ!.. მიშველეთ... მიშველეთ...

მან ისეთი ვაჟკაცური ხმით დაიგრიალა ეს უკანასკნელი სიტყვები, რომ „ერის“ მორეცენზენტე „B“ თუ ახლოს მდგარ-ყო აღტაცებაში მოვიდოდა, დაიძახა და მწარეთ აქვითინებული ბალიშზე დაეცა.

მომწონს ვაჟკაცის ცრემლები!

ეშმაკი.

* * *

ნუ ნადგლიანობ, გულო, მარადის ნუ იდრუბდები,
გამოიდრე.
იგმარე დდემდის რაც შხამი შესვი, რაც ტანჯვის გზები
გამოიარე.
ქვეყნის სიერთო ბორსა და ლხინში შენც გიძევს წილი,
მას ვერ ეცდები.
ეს კანონია ჩვენი ცხოვრების, ბედითი წესი,
დამეთანხმები.
დეე, ნადგელში სტურავდე, გულო, თავს ეგდებოდე
სიქვეენო სიქმეს,
მხოლოთ კვლავ გეტყვი: უსაოფოთ, ემონებოდე
კერძო შენს დარდებს.
კანა რას შეგძენს მუდამ იდარდო მასზე, შეცდომით
რაც დაგიკრგავს,
ჭე, გულო, შენი ზედ-მეტ სიწრფელით, სხვაზე დანდობით,
რაც დდე კინახავს!..
ვიცი მე, გულო, რაც ხდება ადეს იქ, სად წრფელის
რწმენით

იბრძოდი მისთვის,
რომ ბოროტების დღე გამქრალიყო, გზები გამზადებოდით სიმართლისათვის;—
იქ იციხიან, დროს ატარებენ, გაშლილ მდელოზე მოსეირნენი,
მხოლოთ დაცინვით მოგიგონებენ, შენს წარსულ დროზე მოსაუბრენი.
მუდამ იცინონ, ილაზღანდარონ, ეს რად გაწუხებს, ან რად გაგვირვებს,
სჯობს, გულო, ისევ ის მოიგონო, კვლავ რა გაცოცხლებს, რა გაგამხნევებს;
დე, გამხნევებდეს, ის წმინდა რწმენა, რომ ნამეტ შენი ბედნიერია,
რადგან ქვეყნისთვის, სასარგებლო რამ, წვეთის ოდენი შეგიძენია.
დეე, ნუ გინდა ქება-დიდება, შრომობდე ქვეყნის შეუმჩნევლათ,
საერთო საქმეს არ შორდებოდე, ქვეყნათ სიმართლის დასამყარებლათ.

ბ. გელა.

გურული სცენა.

(რეჯება და ზემლემერი.)

ს. ჩიბათი.

რეჯება. უფალო ზემლემერო, ღმერთსავით გეხვეწები მითხრა რამდენი ქცევა მიწევს შენ რომ არიგებ იმ ტყეში და იგი რაცხა ქალბატონის წყალობაა, ჰყონიებიდან ჩემდა გამომირიგო.

ზემლემერი. რა გამოგირიგო ძმავ, ერთი კვატრატი არშინი და ორი კვატრატი ვერშოკია.

რეჯება. ვაი, წავხდი, რას მიჩივი შე ძალოცვილის შვილო? ფასი ფასია და ქალბატონს რომ ძღვენი ვუთრაქე იმას ანგარიში აღარ აქვს. ღმერთი ქე დაძველდა და რაცხა ბუნებაა იგი მაინც ხომ კი გწამს, რაც შენ მოსულხარ ამ ტყეში მერე სულ შენთან დავლოტინობ, ჩიტი რომ კურკანტელას ვერ გეიტანს იმისანა მაგრებში, შენ კი არშინები და ვერშოკებიო. კაი და ჭოჯო რაცხა კვატრანტებია იგი მაინც მითხარი რამდენ ქცევას აკეთებს.

ზემლემერი. მე რას მიჯავრდები შენ კაი კაცო, შენ ვინცხაიზა გითრაქავს და გილოტინებია მე რას მამადლი? აგი გიწერია და აგი გითხარი. და კვატრატი კი ოთხკუთხივ რომ არშინს დაადობ და შვაზე მიწა დარჩება იგია.

რეჯება. ვაი დედავ ვინცხამ! მომკალი და ქია ერთი არშინი . . . . . . მისი კვატრატებიანათ; მეუტყუვებივარ და ქე ქონდეს, მარა მაინც ვისწავლით ჭკუას.

შხანკოლა

სოფელს ეკითხაო...

ხატაურმა კატამა
კუდი განზე ქნაო.
ეს ამბავიც საბრალო
სოფელს ეკითხაო:
ვით გაჰბედა კატამო,
დაუდგეს თვალიო!
მას კუდი უნდა ჰქონდეს,
როგორც ნამგალიო,
ჩაშვებული უკანა,
არ მოქნეულიო;
ალბათ რასმე აპირებს,
მაგი წყეულიო!..
მოუძღვა ბოქაული
დარაჯთა „სოტნასო“,
და შეუდგენ ერთგულად
სოფლისა კორტნასო:
დაიჭირეს ოცამდე
კაცი, მართალიო:
(კატის წაქეზებაში
მათ დასდევს ბრალიო).
მოითხოვს ბოქაული
გლეხთა ყრილობასო,
და უკითხავს უფროსის
მოწერილობასო:
„რადგანაც არ იქცევით,
როგორც წესიაო,
ყველა იმას მოიმკის
რაც უთესიაო,
სოფელი რო „ბუნტობს“,
ეკზეკუციაო
იმის დასაცხრობათა
ღმერთს მოუციაო“.
—მოზიდეთ თივა, ჩალა
პური, საკლავიო,
თუ არ გინდათ რომ ზურგზე
აგაძროთ ტყავიო!..
და... გაისმა სოფელში:
—„მოიტათ ფარაო
ეგზეკუციისთვის,
ცოტა არ კმარაო!“...
ბოჭავენ ფულს... სოფელი
კი არ ილევაო,

სჩანს, სოფელში დიდია
სიმდიდრ შეძლებაო.
სოფელი, ვით საფქვილე
ჯვალოს ტომარაო,
რამდენიც დაფერთხო,—
სულ ქეა ფარაო...
და... ფერთხენ... ფერთხენ სოფელს,
თითქოა ჯვალოო...
ნუ თუ ამდენს წამებას
არა აქვს ბოლოო?!.

ნ. ზომლეთელი.

მესტვირული.

ღმერთმა ყველა დაგიფაროსთ,
მე რომ შემხვდა ცოლი:
ეპვიანი და კაპასი
ჩხუბის წინამძღოლი.
ანჩხნლია და მოჩხუბარი,
ენა ადლის ტოლი,
თავში მირტყავს უნდობლათ,
ვით მეზურნის დოლი...
ყელში თოკი წამიჭირა,
გაუყარა რგოლი;
ზურგის ტყავი ამაცალა
ამადინა ბოლი.
არ მინახავს ვაჟი-კაცი
ამ გვარი მებრძოლი.
მიკვირს როგორ გაიხარებს
ამის გვერდში მყოლი!
დღე და ღამ მეჩხუბება,
არ აყენებს ენას;
ყური უგდეთ მის პირიდგან
სიტყვებისა დენას!
ვეხვეწები: კარგი, კმარა,
აგრემც შენსა ლხენას!
მაგრამ მაინც არ ღალატობს
თვის ძველებურ რწმენას:
ლანძღვას უფრო მოლმატა
მიხშობს ყურთა სმენას.
როგორც ვატყობ ვეღარ უძლებ
ამდენ ლანძღვის თმენას!
გავექცევი საითკენმე,
გეფიცებით ზენას!

ა. განჯის-კარელი.

***

შენ ვერ გაიგე, სხვაფერ ახსენი
ჩემი ქარაგმა სასიეგარულო,
იქნება განგებ მალავ ნაგრძნობსა,
ჩემო იმედო და სიხარულო!
დე ასე იყოს! გრძნობათ გამოთქმის,
თუნდ ხელოვნურათ, მომეტ შემთხვევა,
ვით წმინდა სატსა, სასოებისა,
შენი ერთგული ხელზე გემთხვევა
და კვლავ ქარაგმს გეტევის, ციური
„ეპვი ვარდს ეკვლის, თავს დასტრიალებს...
იქ უგულოცა, ქვეშ დედამიწა...
მიეშვედენით... გაატიალებს!“...

იასამანი.

კრიტიკოსთან.

ოდეევილი ერთ მოქმედებათ.

მომქმედნი:

1) კრიტიკოსი.
2) ქეთო, ცოლი მისი.
3) მალაქია,—მოსამსახურე.
4) პირველი. } ავ-
5) მეორე. }
6) მესამე. } ტო-
7) მეოთხე. }
8) მეხუთე. } რე-
9) მეექვსე. }
10) მეშვიდე. } ბი.

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში ჩვენსავე ქვეყანაში.

სცენა წარმოადგენს კრიტიკოსის კაბინეტს. კედელთან მიდგმულია დამაზი, ხავერდ გადაფარებული სამ-

წერდა მაგიდა. ზედ შნოიანი საწერ-კალამი, სავერფლე, სანგარიშო სიტი, ორი შანდალი ანთებებით, სახაზავი, პრესსი, პორტფელი, ერთი ბრძელი და ფიგურებიანი ჭიქა, ს

გამოსვლა 4.

(შემოდის პირველი ავტორი. ატყვია გატრეცილი ევროპიული ტანისამოსი და ჩექმები, თავზე ჟოკე.)

პირველი. გამარჯობათ!

კრიტიკოსი. ვაგიმარჯოს! (ხელს გაუწვდის ისიც ჩამოართმევს.)

პირველი. ჯიქიძე.

კრიტ. ოქროსცვარაძე. გთხოვთ! (მიუთითებს სკამზე.)

პირ. (ჯდება) ძაან ცხელოდა დღეს! (პაუზა)

კრიტ. დიაღ. ჩაის ხომ არ მიირთმევთ!

პირ. გმადლობთ, გიახელით, თუმცა აქაც შეიძლება. მაგრამ არა, ნუ სწუხდებით.

კრიტ. კარგია ნუ ბოდიშობთ. (მაღაქიას).

პირ. რა გაეწყობა. იყოს ნება თქვენი.

გამოსვლა 5.

(შემოდის მაღაქია.)

კრიტ. (მაღაქიას) მოართვი ჩაი!

პირ. არა; არა, ნუ მოიტანს.

კრიტ. ოჰ ბატონო, რომ იცოდეთ როგორ მეჯავრება ეს ჩინური ცერემონია. ან გადაჭრილი ჰო სთქვით, ან არა.

პირ. არა და ათასჯერ არა. (მაღაქია გადის)

კრიტ. კეთილი და პატიოსანი. სხვა? რით შემიძლიან გემსახუროთ?

პირ. სჩანს ჩინებულათ სცხოვრობთ. უზომოთ მიხარიან.

კრიტ. არ ვიცი რით დავიმსახურე ასეთი ყურადღება.

პირ. თქვენი ამაგით. როცა ჩვენი რომელიმე საზოგადო მოღვაწე ასე თუ ისე კარგათ ცხოვრობს, სიხარულისაგან ცას ვეწევი ხოლმე.

კრიტ. Merci, Merci

პირ. ცოლ-შვილიანი ხართ?

კრიტ. დიაღ.

პირ. შვილები გყავთ!

კრიტ. ერთი.

პირ. გაგეზარდოთ! ღმერთმა იმისი დრამატურგობა მოგასწროთ. ჯვარი როდის დაიწერეთ?

კრიტ. (განზე) რას ჩამაცივდა. (იმას) ამ ორი წლის წინეთ.

პირ. თქვენი ცოლი სადაურია?

კრიტ. (განზე) ბიჭოს! ამას სიცხე ხომ არ აწუხებს? (იმას) ჩემი ცოლი ქიზიყელია.

პირ. ქიზიყელი?

კრიტ. დიაღ.

პირ. ქიზიყი.. ქიზიყი. აი ის ვირების ქვეყანა?

კრიტ. დიაღ-დიაღ. უნდა მოგახსენოთ, რომ იქ ვირებს გარდა ადამიანებიც ცხოვრობენ.

პირ. რა გვარია?

კრიტ. ვინა ბატონო, ქიზიყი თუ ვირი?

პირ. თქვენი ცოლი.

კრიტ. (განზე) რა ვქნა... შეყვარებული ხომ არაა. ჩემი ცოლი და ჩემი ცოლი! (იმას) ხატის კაცი.

პირ. რომელი ხატის კაცი? ვგონებ ერთს ვიცნობდი.

კრიტ. მამა მისს ნიკო ჰქვია, დედას ნინო, ძმას ტიტო, დას სოფიო, პაპას სვიმონი, პაპის პაპას პეტრე, მამიდას დარეჯან, დეიდას სალომე, ნათლიდედას ბარბარე, მოჯამაგირეს ტიმოთე, მამაჩემს ივანე, დედა ჩემს პელაგია, ბიძა ჩემს ილიანე, პაპა ჩემს ქრისტესია. (განზე) ნეტავი არც ეხლა მომასვენებს?

პირ. დიდებულად შეუკეთებიათ ბ-ნო ჩვენი ქართული თეატრი!

კრიტ. (განზე) დალახვროს ღმერთმა, საიდან სად გადახტა. (იმას) დიაღ. არა უშავს რა.

პირ. იმედია ამის შემდეგ გამობრუნდება ეროვნული სცენა.

კრიტ. (განზე) რა ადვილი ყოფილა! ეროვნულ სცენას ეროვნული კულტურა გამოაბრუნებს.

პირ. წარმოდგენები მალე დაიწყება?

კრიტ. ერთი თვის შემდეგ.

პირ. როგორ მიდის პრემიის საქმე?

კრ. ჯერ არაა გამორკვეული.

პირ. ბევრია წარმოდგენილი?

კრ. უთვალავი.

პირ. როგორ ატყობთ?

კრ. არც ერთი არ ვარგა. სხვა?

პირ. არა ის ვინაა ჩემ პირდაპირ თქვენს უკან? (სურათზე მიუთითებს) აი სწორეთ.

კრ. (განზე) ამასა ჰქვიან „გამარჯობა გოგია, კამეჩებზე მივდივარო“ (იმას) დოსტოევსკი.

პირ. მე კი პურიშკევიჩი მეგონა.

კრ. ეს ლა მაკლდა სწორეთ. სხვა?

პირ. ერთი სათხოვარი მაქვს.

კრ. ბრძანეთ.

პირ. მე განვიზრახე ეროვნულ სალაროში წვლილის შეტანა.

კრ. კეთილი.. პიესა თუ დასწერეთ?

პირ. ჯერ არ დამიწერია, მაგრამ თუ თქვენ დამეხმარებით მალე იქნება.

კრ. ახირებულია თქვენმა მზემ. აბა მე როგორ უნდა დაგეხმაროთ?

პირ. აზრები ბლომად მომდის თავში, მხოლოდ არ ვიცი როგორ დავსწერო. ეხლა გთხოვთ ნება მომცეთ ვიაჩო თქვენსა, ამ ნაკლის შესავსებათ.



ჭოი ზეინაბ, სულეიმან
და შენ, ოთარო,
რისხვით მოსილო, მტერთა მსვრელო,
მარად მშფოთარო!
აწ განიბერტყეთ ფერხთა თქვენთა
სცენის მტვერია!

დროა იელტოდეთ ამიერით,
სადაც ჯერია!
ვინ დაიჭიროს ერთის ხელით
ორი კურდღელი?
სწავლაც, თამაშიც!.. ძნელი არის
მეტათ უდელი!

კრ. არა ბატონო, შეგნებულათ ვყოფ უარს თქვენს წინადადებას.

პირ. რატომ?

კრ. მიტომ რომ თქვენი სურვილია სხვისი ხელით ნარი გლიჯოთ.

პირ. სრულებითაც არა.

კრ. ეგრე კი გამოდის და.

პირ. მაშ რა ვუყო ამ მოზღვავებულ იდეათა ასოციაციას?

კრ. რაც გენებოთ ის უყავით. დრამები ჩემთვისაც ვერ დამიწერია, არა თუ სხვისთვის. მე ვკისრულობ დაწერილის გადათვალიერებას.

პირ. მაშ მირჩიეთ რამე.

კრ. თქვენ უნდა წახვიდეთ სახლში, დამშვიდდეთ, მიჰყოთ ხელი წიგნების კითხვას, განვითარდეთ, მომწიფდეთ გონებით, იმავე დროს, გზა და გზა ცხოვრების ავ-კარგიც უნდა შეითვისოთ და ასე 8—9 წლის შემდეგ იქნებ დასწეროთ რამ, თუ ღვივის თქვენს არსებაში ღვთიური ნაპერწკალი.

პირ. ეს არის და ეს?

კრ. დიაღ.

პირ. (ხელებს ჩაიქნევს, ტუჩ აბზეკით) ეეჰ დალოცვილო! რვა წელში ან მე მოვკვდები ან თქვენ. ესეც ჩვენი კრიტიკოსი!!

კრ. მერე რა? მე თუ მოვკვდები სხვა უკეთესი და შესაფერი კრიტიკოსი გეყოლებათ. თქვენისთანა ფირფიტა კაცი თუ მოკვდება, ქვეყანას არც მაგით დააკლდება-რა.

პირ. (წამოხტება გაჯავრებული) მოწყალეო ხელმწიფევ. ფრთხილად. ნუ დაგავიწყდებათ რომ მე ინდივიდუუმი ვარ. მშვიდობით! მე თქვენ გასწავლით სუბიექტების პატივისცემას. (გადის)

(შემდეგი იქნება)

ტრიფონ რამიშვილი.

ი მ ე დ ი.

—

კვლავ გამიღიმა ბედის ვარსკლავმა,
კვლავ იგრძნო გულმა იმედის ძალი;
გრძნობა გაცოცხლდა, ვონებამც მტკიცედ
მას დაანახვა სხვა მომავალი.
მთელმა არსებამ ფერი იცვალა,
დაადგა გზასა განცხოველების,
და სხვა რათ მინდა აწ ნეტარება,
თუ შენი ტრფობა არ მომაკლდება.
თუ სიყვარული და სათნოება
შენგნით კვლავ გულში ჩამენერგება,

აბა მითხარი, სხვა რამ იმედი
და ღტოლვილება ჩემ გულს შერჩება?!
გულს დაობლებულს, ჩაგრულს, დატანჯულს,
დროთა ბრუნვისგან დასხებულსა
სხვა რამეს ძალუძს შუქი მოჰფინოს,
თუ არ თბილ გრძნობას და სიყვარულსა?!
მაშ რა მადარდებს, ოდეს მტლეთ, ფარად
ეს წმინდა გრძნობა გულსა მჩენია
და ზედ დაკრძალვით შენი სახელი
და შენი ტრფობა შემიძენია!
მე სხვა არ მინდა ახლა სიმდიდრე,
ვარს ვუთვ დიდებას და ძლიერებას,
და შეუფარდებ შენგან თქმულ სიტყვებს
ჩემ აღფრთოვნებულს გრძნობიერებას.

ფ. რუშაველი.



ორი ეშმაკი.

„არკადის პრინცები“

მეორე. (გამოდის საღდესასწაულო ტანისამოსში, სწორეთ იმ ტანისამოსში, რომლის გამოც მიიღო ბანკის ბადური პრიზი. საზოგადოება დეღავს. ის იწყებს მედიდურათ:)

მე დღეს გახლავარ ბათუმის პრინცი!
შავი დღე მადგას,
რავქნა არ ვიცი!..
მინისტრი ყველა
შემხვდა უვიცი,
არ შეისმინეს
ხვეწნა და ფიცი
ვუთხარ: ვალი გვაქვს ასი გოდორი
მათ კი მომისპეს „საფუთო სბორი“ (გადის).

პირველი. ვაშა, ვაშა... ბადი ბუდიიი! *).

მეორე. (გამოდის ცოტა დარცხვენილი).

ჩვენ პრინცები ვართ „ხალხურ სცენების“
მატარებელნი
გრძელი ენების...
წერილის მწერნი
მოსაწყენების
თაყვანის მცემნი
მშვენიერების
გვსურდა სექციის გადაგვარება,
ნაცვლად მხვდა ჭირი და მწუხარება! (გადის).

პირვ. (აღფრთოვანებული და აღტაცებული) ვაააა-შა, ვააააშა, ბატიიიიი-ბუუუუტი!

მეორე. (გამოდის მაგრამ რადა გამოდის, ძლიერ შეწუხებული).

მხედავთ? პრინცი ვარ გურულ-რაჭველი!
იასე მქვია
ნათლის სახელი,
ვის გინდათ მე არ
გავკარი ხელი,
ვინც კი ვიშოვნე
ტყავ გასახდელი!
დღეს სოფლებისკენ მივალ სამკალად
მოქნილი ენა მიმაქვს ნამგალად.

პირვ. ბიზზზზ! ვაშაააა! ვაშა. გაუმარჯოს, „გეორგიას“! გაუმარჯოს...

მეორე (გამოდის ნასიამოვნები, რომ ხალხი აღარ იძახის „ბატიბუტით“)

პრინცი გახლავარ მე გულ-ზვიადი,
მუშტის მოქნევა
ვიცი დიადი...
გულში სევდა მაქვს,
თავში წყვდიადი,
მიტომ გამხადეს
სტიპენდიატი.
მამულს ჩემგვარი სჭირია შვილი
„ომში“ ნაწრთობი და გამოცდილი.

პირვ. (უკიდურეს აღტაცებული) ვაშაააა! ბიზზზზ ზზზზზ! ბიზ! ბიზ! ბიზზზზზზზზზ! ბიზზზზზზ!

მეორე. იძულებულია კიდევ გამოვიდეს, თუმცა ძლიერ დაღალულია)

შავი პრინცი ვარ, ჯოჯოხეთური

---

*) რედაქცია ბოდიშს იხდის ამ სიტყვებისათვის, მაგრამ, როგორც გამოირკვა, პირველ ეშმაკს ეს სიტყვები ქართული თეატრის «პუბლიკისაგან» უსწავლია „ღალატის“ წარმოდგენაზე.

მიყვარს ღალატი,
მტრობა და შური,
საწველადა მყავს
ქართული ფური,
რკინის შამფური... წელზე მკიდია
მე ყველა მიცნობს ქართველი გლეხი,
მე ვარ იმათი რისხვა და მეხი. (გადის და აღარ ბრუნდება).

პირვ. (ამაოდ შფოთავს. რაკი მეორე ეშმაკი აღარ გამოდის, თითონ იწყებს:)
განა მე პრინცი არა ვარ, თუ რა?!.
ვის არ ეცნობა
წითელი ტურა?
ბელეტრისტიც მყავს
ერთი დიდ-ყურა,
პუბლიცისტები
სულ ურა-ურა
ჩვენ გაზეთსა ვცემთ ორშაბათეულს
აზრსაც გავყიდით, სულსაც და სხეულს. (გადის დალონებული).



ეძიებდეთ და ჰპოვებთ!

ერთი ახალგაზრდა მეცნიერის აზრით, ჩვენ, ქართველებს, „მარცხენა ფეხი ბევრათ უფრო გრძელი გვაქვს მარჯვენაზე“.

ალბათ ამ მეცნიერული მეთოდით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ყოველი ქართველი მოღვაწე და მათ შორის წარმოიდგინეთ თვით ახალგაზრდა მეცნიერებიც კოჭლობენ ხოლმე. რას იზამ: თმის დამოკლება ადვილია, ენის სიგრძესაც შეიძლება რამ მოეკვეცოს, მაგრამ ფეხს, ფეხის მეტ-ნაკლებობას კი ძნელათ რაიმე გაუხერხოს კაცმა!

დღეს დავრწმუნდი, რომ ყოველივე ჩემი უბედურების მიზეზი სწორეთ ეს, მარცხენა ფეხის სიგრძე ყოფილა! ღმერთო ჩემო! რა უბრალო საკითხი და რამდენი ხნის ტანჯვა!

ამბობენ, ხეთქილი და არა ხეთქილი გენიალობა უბრალო სამოსელში დადიან და სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ მას მხოლოდ რჩეულნი ნიჭნი არჩევენო!

თურმე თქვენი მონა-მორჩილი მუდამ დღე მარცხენა ფეხზე დგებოდა და ეს ხომ დაცდილია: —მარცხენა ფეხზე ადგომა კარგს არას მოასწავებს!?!

დღესაც მარცხენა ფეხზე ავდექი, მაგრამ უნებლიეთ მიიქცია ყურადღება ამ ჩვეულმა გარემოებამ. მეწყინა, ძლიერ მეწყინა! განა მარცხენას ყოველთვის მარცხი არ მოსდევს და მარჯვენა გამარჯვებული გამოდის? განა ქართველი ქართველს სულ იმას არ ეუბნება: „მარჯვენა გიკურთხოს ღმერთმაო?“ ცრუმორწმუნეობის გრძნობამ შეიპყრო არსება ჩემი!

სასოწარკვეთილი გამოვედი ქუჩაში, რომ ორიოდ ქართველი მოღვაწე მენახა და მათი წარჩინებული აზრი გამეგო დღევანდელ საჭირ-ბოროტო კითხვათა შესახებ. ზოგიერთ მათგანზე,მეტის მეტად უცხო და განსაცვიფრებელი „ხმებიც დადიან“! ამბობენ, წინააღმდეგ ჩვეულებისა მათ მარჯვენა ფეხი უფრო გრძელი აქვთ მარცხენაზე და ამ გვარათ ფრიად იშვიათ გამონაკლს წარმოადგენენ ქართველ ეროვნულ ინდივიდუმთა შორისო. მოდი და ნუ გაგიტაცებს სურვილი მათთან მუსაიფისა.

მაგრამ მე მაინც ჩემს ბედკრულ მარცხენა ფეხის სიგრძეზე ვფიქრობდი და უმიზნოთ დავაბიჯებდი ქუჩაში.

სახაზინო თეატრის მოაჯირზე პატარა ბიჭი ჩამომჯდარიყო და საშინლათ იცრემლებოდა. არავინ ყურადღებას არ აქცევდა მის მწუხარებას. დავხედე ფეხებზე არავითარი მეტ-ნაკლებობა, ორივე თანასწორი ესხა. შევხედე სახეზე, პატარა შრამი ემჩნეოდა.

— ვინა ხარ პატარავ? შევეკითხე ჩემდა უნებურათ.

ბავშმა ხმა არ ამოიღო, ტირილს მოუმატა და ამით კიდევ უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება.

— რატომ არ იტყვი, პატარავ, რა დაგეკარგა? ან შეიძლება გცემა ვინმემ? ან იქნებ ეძებ ვისმე?

ბავშმა ცრემლები მოიწმინდა, ერთი მძიმეთ ამოისუნთქა და მიპასუხა:

— ეშმაკს ვეძებ, ძია, ეშმაკს...

— ვინ ეშმაკია, შე მტირალავ!

— აი მათრახით რო დადის ქალაქში...

— მერე იცნობ შენ ეშმაკსა?

— საიდან უნდა ვიცნობდე! მათრახიანი ბევრი შემხვდა გზაში, მაგრამ არცერთი ეშმაკი არ გამოდგა.

— რათ გინდა ეშმაკი, შე კუდიანო?

— აი იქ უნდა მივიყვანო, იმ წიგნის მაღაზიაში. და ბავშვმა პირდაპირ ქუჩის მეორე მხარეზე წიგნის მაღაზია დამანახა.

— ვინ არის იმის პატრონი?

— კიკნაძეა ბატონო,

— მერე რას ერჩი იმ კიკნაძეს?

— მე კი არ ვერჩი, მე მერჩის. შენ, ძია, არაფერი არ იცი. შენ რომ ეშმაკი იყო, მაშინვე გაიგებდი, როგორ დამიბრიყვა იმ ვაჭარმა.

— მითხარი და მეც გავიგებ... მითხარი!.. მე თითონ ვნახავ ეშმაკს და ყველაფერს ვეტყვი.

ბავშვს სახე გაუბრწყინდა! იმას ეგონა, ჩემი საქმე ახლა სრულიად გადაწყდაო!..

ოჰ, რა გულუბრყვილონი არიან ბავშვები!

— მაშ კარგი ძია, ყველაფერს გეტყვი... მე მასთან ვმსახურობდი. რაც შემეძლო ვეხმარებოდი, თავს არ ვზოგავდი. აი თუნდა დახედე ამას. (ბავშმა მიჩვენა სახეზე კარგა მოზრდილი ჭრილობა). ეს ლამპის ანთებაზე მომივიდა. გასკდა რაღაც ჯანაბა და ასე დამასახიჩრა. ხაზეინს წამლის ყიდვაც კი არ უნდოდა. მაგრამ ამას დავანებოთ თავი. მე ვიმსახურე რამოდენიმე თვე...

— შემდეგ გაგიგდო?

— არა ძია, მან კი არ გამაგდო, ჩემით დავაპირე წასვლა. ვიფიქრე: მოდი გავაფრთხილებ, რომ წასვლა მინდა და სხვას მონახავს, მანამ მე წავალ მეთქი. გამოუცხადე!

— ჩინებულათ მოქცეულხარ! ყოჩაღ ბიჭუნი!

— ამის შემდეგ გავიდა კიდევ რამოდენიმე კვირე და წავედი. მოვთხოვე ხაზეინს ფული. იმანაც წამომიგდო რაღაცა.

— ალბათ იმდენი რაც გერგებოდა!

— სრულიადაც არა. შენ ჯამაგირი მაშინ მოგესპო, როცა გამომიცხადე თავის დანებებამინდაო; ასე მიპასუხა ჩემა ხაზეინმა. წამართვა რამდენიმე კვირის ნამუშიერი.

— ეს შეუძლებელია, პატარავ! ბ-ნი კიკნაძე იქნებ ვერ ჭიხვდა!

— არა ძია, ჩინებულათ მიხვდა. განა რას შეატებს ჩემი წანაღლეტი ორი გროში, მარა მე მაინც ასე დამიბრიყვა.

— მაშ კარგი, საბრალო ბავშვო, მე ყველაფერს გავიგებ. მე თითონ ვნახავ ეშმაკს და დაწვრილებით ვაცნობებ შენს გასაჭირს. წადი ახლა სახლში.

— გმადლობ ძია, გმადლობ!

ბავშვი ისე მხიარული გაიქცა, თითქო წართმეული ჯამაგირი ჯიბეში ჰქონოდეს.

ოჰ, რა გულუბრყვილონი ხართ ბავშვებო?

ეშმაკი.

ფოტის ნეგატივები.

ნიკობურგელი „ჟიდკა“ კულტურულ-განმანათლებელი ლიგა „თავისუფალ მხუხავთა“.

შემთხვევით დიდებულ პედაგოგის ღღიური (იუპიტერის) ჩამივარდა ხელთ. დაახლოვებით ასე სწერია: 1 სექტემბერი. „გასული, მოუსავლიანი სამოსწავლო წელი ჩემთვის იყო უსიამოვნების წელი. ძლიერ დავიქანცე „ბოროტ ძალებთან ბრძოლაში, მაგრამ მაინც ვძლიე ის წყალობითა თ—სადა მგზავსთა მათთა, რომლის ქალ-ვაჟებს სიმპატიის, თვალით დავცქერი. პატივმოყვარე და ძლიერ ამაყმა სულმა ჩემმა არ მოითმინა და უშვერი სიტყვებით სრულიად უდანაშაულოთ, ერთ კრებაზე-საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი მიტროფანოვი, ნოვი შევურაცხვყვე, ჩემ ენატანია ევდოკიმ კოტუროვისთვის. კოტუროვი ა. ჩხაიძის და მ. ხოქოლავაზე დურმიშანულებს გზავნიდა. მიტროფანოვმა (თუმც ჩემი ხელქვეითი არაა სამსახურში) კატუროვს შეხედა როგორც სულმდაბალ ადამიანს, მე მოვევლინე კატუროვს ფარად. კრებაზე როგორც იუპიტერი ვყვიროდი, რომ საქალაქო სასწავლებელში საბალოსნო განყოფილება გაეუქმებინ, რადგან მას არაფრის მოტანა არ შეუძლია. გაუქმდება საბალოსნო განყოფილება, ა. ჩხაიძე გაძევებულ იქნება და ჩემი „დუშკა“ ევდაკია კატუროვი „ნიგილისტიდან“ დაზღვეული. მიტროფანოვმა მკაცრად მომმართა, მითხრა. „თქვენ ადამიანს ებრძვით არაპირდაპირ, თუ განყოფილების დახურვა გინდათ, по наускиванію Котурова“ო. მე შევუკურთხე მას და დაუყვირე: „Не смѣть своихъ сужденій имѣть“. იმდენათ გავბრაზდი, რომ სულ დამავიწყდა ჩემ წინაშე ა—სიშვილი, ბეკი ან სხვა მასწავლებელი ჩემი ხელქვეითი მეგონა, რომლებსაც რგოლივით ვბრი.

ერთი ყველასაგან პატივცემული „მშობელთა წრის“ თავმჯდომარეც უკმეხი სიტყვით შევამკე, ეგ ვერ მომივიდა კარგად, მაგრამ... როგორც იუპიტერს, არ მიყვარს „возраженія“. Терпѣть не могу, когда люди имѣютъ свои сужденія... ჩემ ღემნაზიას აღარ ბელი ოთახები აქვს თავისუფალი. არც ერთ ასწავლებელს არ ვაცხოვრებ შიგ, არც მე ვიცხოვრებ 800—900 მ. ქალაქს квартирныхъ ავარომევ, რადგან მე ეს ასე მსურს და ვინ აღმდგება წინ? ადგილობრივი რუსული გაზეთის რედაქტორი მინდოდა პასუხის გებაში მიმეცა ერთი ცნობის გამომძღავნებისთვის, მაგრამ ვერ მოვახერხე!

საქალაქო გიმნაზიაში ერთ მოწაფეს ბეუედი მოპარენ. დავნიშნე გამოძიება. უცბათ შევნიშნე, რომ ერთი პატარა ქალი ჩულქებს ისკვნიდა, ესაა ქურდიოქვა, დავიყვირე. დავიდ ივანიჩმა გაიცინა, „ჩულქებს ყველანი ისკვნიანო“... ის მოვიშორე, მადლობა ღმერთს. ბეკი ისევ მოვიყვანე. დღეიდან ყველას რგოლივით მოვხრი, წელში გავტეხ. იუპიტერული გული ჩემი სიამით ივსება, როცა მომეხვევიან ხელქვეითი მასწავლებელი, სალდათივით გამომეკიმებიან, ნაკიდკას მომხსნიან და ლაქიებივით გამომყვებიან... მე ვმეფობ. მე ვარ იუპიტერი ერთი და არა გრწამდეს იუპიტერი გარეშე ჩემსა. რათ არ იცოდა ეს ბ-ნმა ჯ—კიამ? ბაქოსკენ გაისეირნოს ეხლა თავისი „особое мнѣніе“-თი“. აქ თავდება ღღიური.

ქალაქი იგი ბცნობილ არს ვითარცა ბაზისი თევზთა და მეთევზეთა; ხოლო ყველასაგან ცნობილ არს, რომ თევზნი მუნ „მყობადდია“ ხიზალალა-

ქვირითისა, რომელსაც ნიკობურგელნი უწოდებენ „ჟიდკასა“ „ჟიდკა“—„ყოვლადი რკალია“—თვითსყრაფი და თვითმიმქცევი“. ნიკობურგში, თევზთა სამეფოში, მუნ ბდიდარ არიან ნივთიერებითა „ჟიდკითა“ მილორავა და ცხადაია, რომელთა ყავთ „წალკოტად მოჩქეფებულნი ქალნი“ ამბავი მათ სიკეკლუცისა ყურს ესმა მიუნხენის სტუდენტ მიხასა, რომელიც ეძიებდის მუნ „ჟიდკა“-სა (თვით შემცნობ ქანქარსა) და ვითარცა ბუზი მან წკაპ ჰყო მიუნხენიდან და გაიჩარხა საქმე. ნიკობურგი ფეხზზედდგა. ქორწილი დიდებული გაჩაღდა, გარნა მიხა, მუნ სტუდენტად წოდებული „არ ვლენილა“ სტუდენტად, არც მოვლენილა (და როგორც ბორტი ენები ამბობენ იმ მხოლოდ „ლოგიურ ფიქციაშია“ მუნ სტუდენტი). ასე ბარნაბ მილორავას „ჟიდკამ“ მუნ ყლაპ ჰყო მიხა დუნდუათა წოდებული (და დუნდუა იგი ყლაპს ყოფს თვიურად ას „ბოჩკა“ ჟიდკა—მილორავასა). ჩვენ (ნიკობურგელთა სიძე) მიხა მეტად ახოვანია ყმაწვილია და შეიქმს მრავალ ახალ-ახალ მცნებათა (როგორც რუსულ სიტყვიერებაში, მაგ. „мои мать“ „мая отецъ“ „меня директоръ одалжилъ“.)

რადგან მან „ფიგულარულარად“ გარდამქნა გვარი თვისი (რომ „პატენტია ესე ამ „გარდამქნის“ აქტში ამხილოს და გარეგნულად უცხოელს დაემგზავსა) „დუნდუა“—„**ლონდუათ**“. ეხლა ცხადაია, ბარნაბისა ამხანაგი, წახალისდა და „ჟიდკა“ თვისი მუნ ნიკობურგის „მოლზე“ გაიტანა, რომ უცხოეთიდან მოფრინდენ რომელიმე „ბუზი“ და წკაპ ჰყოს ზედ. ტყვილად კი არ უთქვამთ: „ნიკობურგელი „ჟიდკა“—თაფლია და საზღვარგარეთელი სტუდენტები ან „ვითომ“ სტუდენტები (იგულისხმება „ჟიდკისტები)—ბუზებია“.

ნიკობურგში რამდენიმე თვეა რაც დაარსდა „**лига свободнаго хухва**“, რომელშიაც ჩაეწერენ წვრილ-ფეხა ინტელიგენტები და ეწევიან ისინი კვინიხიძისა და მაჭარაძის „კლუბებში“ ბახუსის ნთქვასა. მაგრამ განსხვავება მათსა და უბრალო მოქეიფეთა შორის იმაში მდგომარეობას, რომ ისინი „უბრალონი“ როდი არიან. ისინი უფრო ეფექტების ხალხია და ძლიერ უყვართ პოეტური აღმაფრენანი. ისინი „ბახუსის“ ნაცვლად “დიონისოს“ მოუწოდებენ, „ლოთებო ნეტავი ჩვენ დღეს“ მაგიერ „ინტელიგენტურად“ დამღერიან. და ისმის კვინიხიძ-მაჭარაძის კლუბებიდან ყოველ დღე: “სწრაფია ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი, მუდამ დღე ვვაკლდება სიცოცხლის დღენი. მაშ, **ხუხე**, ძმობილო, სუ გამოსცალე, ვინ უწყის რა გველის ან დღეს ან ხვალე“. ერთად ერთი მაიმედებელი ჩვენი არის ეს ახალი ლიგა „თავისუფალ მხუხავთა“, რადგან ისინი მეტს მოღვაწეობენ საზოგადო ასპარეზზე, ვიდრე სხვები და თან მოუწოდებენ რა დიონისოს, მღერიან რა, „სწრაფია“-ს, თვით ანდრეევს, გორკის და მრავალთ „დიონისოს წვეთების“ გავლენით—აკრიტიკებენ. ნიკობურგი ბედნიერია, ახალი შენაძენით. ვაფრთხილებ სხვა ადგილების მხუხავთ, არ გაბედონ ნიკობურგის—„მხუხავთ არ წაბაძონ. ასე მოქცევა ეს მხოლოდ აქაურების პრივილეგიაა და ყოველივე მიბაძვა ლიგის მთავარ კომიტეტიდან სასტიკათ ისჯება...

ვოლდემარ.

---

* * *

მერცხალო! რაზე ჭიკჭიკებ,
ნეტავ რას მაცნობ პატიმარს?!..
იქნებ ნუგეში უნდა მცე
ტყვეთ პყრობელს, ნაგვემ-განამწარს!

—

ამაოთ... ყველა გათავდა...
ჭქრება სიცოცხლის სხივია!..
აღსრულდეს!.. ასეთ ყოფასა
სამარე მიჯობს ცივია!..

—

მერცხალო! გემუდარები,
ეს ნატვრა ამისრულევი:
გასწი, გაფრინდი, ფრთამალო,
მშობელი ინახულევი.

—

უთხარი: აიმ, მთას იქით
ასი მთა გადავლახეთქო
და შენი შვილი, დახსნილი,
თავისუფალი ნახეთქო.

—

ცოცხალია-თქო... ნუ სტირის...
ნუ აფრქვევს ცრემლთა წყაროსა!..
მელოდეს.. დაე, ბედ-შავმა
ლოდინით ინეტაროსა.

გ. ქუჩიშვილი.



ᲒᲖᲐᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

(უსებური რეკენზია.)

სრულიად შემთხვევით, ოთხშაბათს, 23 სექტემბერს ზუბალაშვილების სახალხო სახლში ამოვყავი თავი. სწორე გითხრათ აზრათ არ მქონდა დავსწრებოდი ამ საღამოს წარმოდგენას, მაგრამ ლაპარაკმა იმდენათ გამიტაცა, რომ მოულოდნელათ პარტერის პირველ რიგში გავჩნდი. ვიფიქრე ერთ მოქმედებაზე დავრჩები და მერე წავალ მეთქი, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, აიხადა თუ არა ფარდა მთელი ჩემი გრძნობა-გონება იმდენათ მოხიბლა

„არტისტების“ თამაშმა, რომ ვერც კი გავიგე როგორ გათავდა წარმოდგენა, როგორ დაცარიელდა დარბაზი, მე კიდევ ჩემს სკამზე ვიყავი გაშეშებული. ბოლოს მოსამსახურეს ხმამ გამომარკვია და ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ ნერვებ აშლილი წავედი სახლში. სცენაზე „პატარა კახს“ აწვალებდნენ. გული დამეკოდა, თვალებში ცრემლები მომადგა როცა დავინახე „გივი ჩოლოყაშვილი, ლევან ქობულაძე და რევაზ ბებურიშვილი“ ეს, მაშინდელი დროის დიდებულნი და წარმოსადეგნი ვაჟკაცნი, ისე გამხდარიყვნენ, ისე რომ ხმას ძლივს იღებდნენ. ვიფიქრე ალბათ საკვები შემოკლებით მეთქი. რასაკვირველია სიგამხდრის გამო. სირცხვილი ქართველებო!! არც მათ თამაშს ქონდა ლაზათი. ლევან ქობულაძეს რომ დავაშტერდი მომეჩვენა თითქო დიდი კითხვითი ნიშანი იყო დარჭობილი სცენაზე, ისე გადმოზნექილიყო უკან. უკანასკნელ მოქმედებაში მეფე თეიმურაზი (იმედაშვილი—ხაშმელი) ასე მეგონა კურდღელს ეპარება მეთქი. დედოფალი თამარი (ფეიქრიშვილი) მეტათ მხიარულ გუნებაზე იყო და ყოველ სიტყვაზე იცინოდა. ერთის სიტყვით იმედაშვილ-ხაშმელს და ქ-ნ ფეიქრიშვილს ისე უხდებოდა თეიმურაზობა და თამარობა, როგორც ძროხას ჩერქეზული კოხტა უნაგირი. კარგი იყო გელა (ივანიძე.) მომეწონა „პატარა კახიც“ (მეტრეველი) უმეტესად მისი საუცხოვო დიქცია, მხოლოდ ასეთი ჩქარი თუ იყო არ მეგონა. როცა თეიმურაზმა დალოცა (უნდა გენახათ როგორ ლოცავდა!!) ის წამოვარდა და ისე გავარდა გარეთ, რომ მე კინაღამ დავიყვირე, მეგონა „ტყვია მისდევს უკან მეთქი. კარგი იყო „პატარა კახი“ მაგრამ ერთი რამ უშლის ხელს, რაც ისე ადვილი მოსაშორებელი არ არის. გელას ქალი (მარგველაშვილი) მეტათ მომხიბვლელი იყო, ნამეტნავათ უკანასკნელ მოქმედებაში. დანარჩენები იყვნენ ისე. ხალხი ბლომათ დაესწრო წარმოდგენას, მხოლოდ ისეთი უწესრიგობა იყო, რომ გვეგონებოდათ სადმე „კაბაკში“ ვართ. ჩემს უკან ვიღაც ვაჟი ისე ბღაოდა, რომ შიშით გული კინაღამ გამისქდა. საზოგადოთ შთაბეჭდილება დიდი, დიდი დასტოვა ჩემზე „პატარა კახმა“ და მისმა მხლებლებმა.

—ლი.

შ ა რ ა დ ა.

—

ნარდში ვინც არის ნაწრთობი,
ხშირად აგორებს კამათელს,
ვინც ზეპირ იცის „ჩარუ-სე“
მყის ახსნის ამა ასახსნელს.

ერთ-ერთი ამ ექვსთაგან
კამათლის გვერდს რო სწერია,
შარადას თავში დაუსვით
(ადვილი დასაწერია!)
შემდეგ მონახეთ სხვა სიტყვა
თავზე რო გაზისთ ბევრია...
(მწერი კი არა გეგონოთ
თავბინძურა და შტერია?!)
მოჰგლიჯეთ ასო პირველი
(მაინც არ არის ბევრია)
და რაც დარჩება, უწინდელ
სიტყვაზე მისაკერია.
ამგვარათ სახელს მიიღებთ
პატარას, არა მარცვლოვანსა,
სად ბუდე (საკანონმდებლო)
დაუდგამს ზუბრთა ხროვასა,
სად ხულიგანთა კრებულნი
ავ სასმენ-სურნელოვანსა
კანონებს აწყობ აცხობენ
დღე მოკლე, მცირე ხნოვანსა,
სად ჯამბაზს თანაც უტიფარს
ცქვიტსა და სახელოვანსა
კონცერტებს ამართვინებენ
ვლადიმირ „სვისტოკოვანსა“.
არა დავზოგავ ვინც ვერ სცნა,
არც ყრმასა, არცა მხცოვანსა
შარადის აუხსნელობა
ჰხამს ჰკუა ნაკლულოვანსა.

კოლო.

---

*
* *
(უძღვნი კ. გ—ძეს.)

გულ-დაკოდილმა
ჩაგრულის შვილმა,
როს მუხთალ ბედსა აღარ ვემონე,
წინ გავიხედე,
წარსულს გავხედე,
აწმყოც ავიღე, ავსწონ დავსწონე,
გავალე თვალი,
ურიცხვ მავალი
გარს დავინახე ჩემებრ ტანჯული,
ნაბიჯი ერთი
დაკვირვებითი
წინ წავსდგი ტანჯვით გაძნელებული,
გაჩნდა ჩხრიალი
და რკინა რგვალი
წყეულ ბორკილის მუხლთ შემეჭირა,
ეკლის მწვეტების,
მგვრ[illegible]ლი დარდების,
თავი ურდილებსა ჩემსკენ ეჭირა.

ამ ჩემს სიავეს,
ჩემს სიბედშავეს,
კისკის-ხარხარით შენ დასცინოდი
რის ერთ ფერობას,
მძიმე ცხოვრებას
ვეღარ ვიტანდი, ვერ ვეტქბებოდი:
მაშინ, როდესაც.
მხეცისა მსგავსაც
თავვანსა სცემდი, ფერხთ უღოკავდი,
დროს ტარებაში,
ქეიფ-თამაშში
აღიგზნებოდი გულით ტოკავდი,
ბეწვის ხიდზედა,
შიშის მგვრელზედა
თავი დავდევი ჯიუტობისა:
მე გავეცლები,
სულ მოვშორდები
ჩემსა სამშობლოს მოცულ ბნელითა,
ან იქ ჩავკვდები,
შევებრძოლები
უგულმა ტრიალს ბედის ჩარხისა.
სადაც ვშობილვარ,
სიმწრით გავზრდილვარ
როგორც უბრალო, მსგავსი ჭიისა."
ამ ჩემსა ხმასა
და გულის თქმასა.
რომ დაემსხვრია ბოროტი რგოლები,
მივშურებოდი,
ტანჯულთ ვწდომოდი,
მმნთავისუფლა ჩემებრ მონები,
ბოროტ თვალებით,
ცუდ განზრახვებით
ხედავდ-ისმენდი გულ-გრილობითა,
ჩემი სურვილი,
სულის წყურვილი
ჩემზე ზიზღს გვრიდა ჭირში დობლითა.
მაგრამ ამაოდ...
არა საამოდ
შენდა აღსრულდა ჩემი გოდება,
სადაგი გულით,
ობოლი სულით
გავქრი, მოვშორდი, ვიჩოვე შვება!.
სანდრო ქურიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ძმაო ეშმაკო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ, რომ იოსებ თედორაშვილი,

ვინაც ერთ დროში,
(არც ისე შორში)
პატარა წიგნი
(„სული და ტვინი")
ოთხათ გახია,
ნაცრად აქცია,
ავტორს აგინა

და „შეარცხვინა", აი, ეს იოსები სამედიატორო სამართალში მიწვევს (იხ. „მათრ.-სალ." № 15), რომ დაუმტკიცო „ბახუსის" წვენით თავის მოწამვლა. თუმცა ბ. იოსებს ჩემი ვინაობის გაგება უფრო ესაჭიროება ვინემ ხსენებული ბრალდების დამტკიცება, მაინც ინებოს. ჩემი მხრით მედიატორეებათ ვასახელებ: ბ. გ—ვილს და თ. ბ—ძეს.

ახლათ—გაეშმაკებული.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ წერილი „პოლისინეს ნათლულის" ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის და ამით დაარწმუნოთ, როგორც კოლია რევაზიშვილი, ისე ბესარიონ ო. გაჩეჩილაძე*)

გრიგოლ ლ. ბ. მაჭავარიანი.

მათრახის ფოსტა.

ვ. მალაქიაშვილს. თქვენი კომედიის დაუმთავრებლობის მიზეზი არის ორიგინალის დაკარგვა. მაშინვე გვინდოდა მოწერა, მაგრამ ადრესი არა გვქონდა. თქვენ თუ მოგეძევვათ შავი გთხოვთ გამოგვიგზავნოთ.

ხონი. კუზიანს. მიუხედავათ ქართული ანდაზისა ჩვენ „კუზიანს უფრო ადვილათ გავასწორებთ," ვიდრე მის ჭოეშას „ჩირადდანს."

ფოთი. პატარას. პატარა რომ ამდენს იწერებით როცა გაიზრდებით მაშინ წყალში უნდა ჩავარდეთ?

ლანჩხუთი. ჯორის კვერცხს. წარმოიდგინეთ იმასაც დავიჯერებდი რომ ჯორი კვერცხს დადებდა, მაგრამ თუ ადამიანი იმგვარ უაზრო ლექსს დასწერდა, როგორც თქვენია, ეს კი აღარ გვეგონა.

ბათუმი. მსურველს. გვცით რომ თქვენ ქალაქს ბევრი სამათრახო გვამი ასხია, მაგრამ თქვენ ვერ განდობთ „ეშმაკის მათრახს." ვშიშობთ თქვენი მოქნეული მათრახი თქვენვე არ მოგხვდეთ.

ბაგრატ რობაქიძეს. მივიღეთ თხოვნა თქვენი იგი უმორჩილესი. გწუხვართ რომ უწეღობის გამო უსნები გადამხმარა, მაგრამ თქვენ „თხოვნას" მაინც ვერ მოვათავსებთ ჩვენს ჟურნალში.

---

*) რედაქცია ამოწმებს, რომ „პოლისინეს ნათლული" გრიგოლ მაჭავარიანი არ არის.

წერილები ეშმაკისადმი

თფილისი. თფილისის საპარიკმახეროების მუშებისთანა განათლებული მუშები ძნელათ იქნება სადმე. ყველაზე მეტათ კავკასიის პირველ ამხანაგობისა და გრეგუარის საპარიკმახეროში. კარტის თამაში, მუშტი კრივი და სხვა ამგვარობა მათი მოგონილია. ყველა ამ სიკეთესთან ხაზეინების ერთგული ქვეშევრდომნი არიან და მონურათ ქედს იხრიან მათ წინაშე. ხაზენებიც სარგებლობენ ამით და ორივე ყურებით მაგრათ ყავთ დაჭერილი.

ნარი.

—

სოხუმი. საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ვისაც გამხდარი ღორი ყავს გამოგზავნოს გასასუქებლათ სოხუმში. აქაურ საავთომყოფოში ისეთი საქმელები კეთდება, რომ ავაომყოფებზე უფრო ღორებს რგებს, რასაც მოწმობს მზარეულის დასუქებული ღორები.

აქაურ „უმაწვილებს“ ჩინების ქავილი აუტყდათ და კისერი ორსაჟინიანი „ვოროტნიკებით“ გაიკავეს.

დასიცხული.

—

ს. მუხაურუა. აქაური მღვდელი ისე დაჩვია საკურთხის ჭამას, რომ გზაში რომ შეხვდე გამარჯობის მაგიერ საკურთხი თუ მოგაქვსო გეტყვის. თუ უთხარი არაო, გიპასუხებს: „მე ჭამა მინდა და როგორც სხვებს მოაქვს ისე შენც უნდა მოიტანოო“. გლეხები საკურთხის მაგიერ „მათრახის“ მირთმევას აპირებენ.

ჭარლამ.

—

ოზურგეთი. აქაურ „გოროდოვოების“ სასწავლებელში წელს ყველა განყოფილებაში ასი მოწაფე მიიღეს. ნეტარ ხსენებულ მუსნიკის დროს კი ოთხასამდე ადიოდა მოწაფეთა რიცხვი. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ეხლანდელი ინსპექტორი მეტის შრომისაგან უქეიფოთ არის და ბევრი მოწაფე შეაწუხებს.

აქაურმა პროგრესისტ ვაჭარმა ა. კალანდაძემ სამი მუშა გააგდო თავის პარკის ფარდულიდან, რადგან კვირა-უქმე დღეებში არ იმუშავეს, ამას კი მოითხოვდა თუ-მე მისი ინტერესები და საჭიროება.

ჯილეხი.

—

ბაქო. ს. ჟვანიასას დაარსდა „კარტოჟნიკთა კლუბი“ წევრებათ მრავალი მუშა ჩაეწერა. კლუბმა უკვე დაიწყო ძალუმი მოქმედება. წევრების გულუხვობას საზღვარი არა აქვს. ყველას იქ მიაქვს თავის ჯამაგირი და უხმოთ სტოვებენ. დამფუძნებელი წევრი ხუთია: მ. გე-შვილი, ლ. მ-ძე. კ. ჩ-ძე, დ. გ-შვილი და ზ. გ-შიძე.

მუშა.

—

დ. ყვირილა. რაღაც „პროგრესს“ რომ იტყვიან უკვე ჩამოსულა ყვირილაში და პირდაპირ წაქაძის „პადვალში“ უკრავს თავი. ამის გამო იქ ქეიფი გაუმართავთ. პიმენას უშველებელი რეჩი უთქვამს. ვინ გინდა იქ არ ყოფილა, გრიშა, პატარა გრიშა, კოწია, უსუფა, ევსეი და სხვანი.

გრიცკო.

—

სად. მუხიანი. დიდი სიცხეების გამო მქედელს ი. გორდაძეს თავი შეუხურდა და ამხანაგს თავი გაუჩეხა. მეორე დღეს ხატზე და ჯვარზე ფიცავდა არაფერი არ მახსოვს, ალბათ „მიკუდიანესო“.

ყარამანი ძლიერ განრისხებულია და ხანჯალ ამოღებული დაეძებს ვინც ის გაზეთში გააკრეა — ამას წინეთ მღვდელმა წიქრიძემ ეკლესიიდან პანღურის ცემით გამოაგდო მეფე დედოფალი, რადგან ცხრა მანეთი, ცხრამეტი შაური და ერთი კაპეიკი შეაძლიეს ჯვარ საწერი.

ფარცხანაყანევის მასწავლებლებს განზრახვა აქვთ წაიკითხონ ლექცია შემდეგ ორმაზე: „თეთრი ღვინო უფრო მარგებელია თუ წითელი“.

თავ. ანდრია ნიჟარაძე ხანჯლის წვერზე აგებას უპირებს ყველა მუხიანელებს, რადგან ვიღაც იქაურმა გაზეთში ჩააგდო.

მუხიანის „მოკრივეთა ჯგუფი“ ძლიერ იღწვის სამკითხველოს მოსასპობათ.

დესპოტი.

ხაშური. ვიღაც ბოროტ მოქმედმა „მიტუშა აბაშიძეს“ რევოლვერი ესროლა. დაიწყო ჩხრეკა! სხვათა შორის დააპატიმრეს ორი რუსული წიგნი, რომლებსაც საეჭვო პასპორტები აღმოაჩნდათ, იარაღი არაფითარი.

—

ზემო ჭალა. ვინაიდან გლეხებს აღარაფერი დარჩათ წასართმევი, ამბობენ მიტუშა აბაშიძე თავის მოურავს „გამოეიმასქნა“ რამოდენიმე თავის ჯამაგირშიო, შემდეგი რიგი ვისზე მიდგება აღარ იციან.

ამბობენ გ. ამილახვარისა არ იყოს, მიტუშა აბაშიძესაც გ. ამირეჯიბი დაიცავსო.

—

სად. წიფა. ერთ ადგილობრივ ვაჟბატონს, საშინელი გადამდები სენი აღმოაჩნდა. სახელდობრ ენის დაგრძელება. ამ სენმა უკვე იმსხვერპლა ოთხი გარეშე კაცი: ერთი სადგურის უფროსის თანაშემწე, ერთი ტელეგრაფისტი და ორი მეისრე, თითონ ავათმყოფი ჯერ გვარიანათაა. გთხოვ გამოგვიგზავნოთ ენის დასამოკლებელი საშვალება რომ კიდევ არავინ იმსხვერპლოს მისმა სისაძაგლემ.

—

ხაშური. სად. მიხაილოვში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს თორმეტი ქანქარი, რომლებსაც ტერორისტულ აქტებში მონაწილეობას აბრალებდენ. ამ ჟამათ, საბოლოოთ გამოირკვა, რომ ორი ქანქარი უმსხვერპლნია ციხეში გამძვინვარებულ სახადს „მალარიჩს“ ხოლო ათი მათგანი უდანაშაულოთ უცვნიათ და გაუმართლებიათ.

—

ბელაგორი. (ხარაგოული) ჩვენმა სადგურმა ძლიერ ბევრი კონდუქტორი იმსხვერპლა „ბრუციანების“ აღმოჩენით. სამაგიეროთ ბ-ნი თევზაძე აგერ ორი კვირაა „საბრუციანო“ ნადირობაზე არ გასულა.

ბ-ნი „რისხვა“ კარგა ხანია თავს უგუნებოთ გრძნობს. როგორც ამბობენ გაზ. „ჩანგი“ დაადგა ყელზე და ველარ გადაუტანიაო. საჭიროა რაიმე მოსანელებელი საშვალება.

—

ცაგერი. მამა ივ. მარგიანმა ეგრეთ წოდებული „ბერების სახლი“ არ დასთმო თეატრად. ხმებია, ვითომ ქანქართა სიყვარულმა ათქმევინა ვარიო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ახლო მომავლისთვის „ბერათა სასახლეში“ აკადემია იხსნებაო. პროფესორებად უკვე მოუწვევიათ ბ. ენკელი და ლენტეხელი სვანი, რომელიც ორჯერ ყოფილა საიქაოს და ჩინებულათ შეუსწავლია იქაურობის ამბავი.

—

ლაილაში. „ლეჩხუმის მელამ“ და მისმა კამპანიამ შუამდგომლობა აღძრა ლაილაშში სამხედრო წესების განახლების შესახებ, მაგრამ უარი მიიღო. ამ ამბავმა საშინლათ იმოქმედა თურმე მათზე და სამოც და შვიდი გრადუსი სიცხე მისცა. ცივი წყალი ჯერ არაფერს შველის*)

*) იხმარონ „ცივი ტილო“ ჩინებული საშვალებაა!

ეშმაკი.

ჭრებალო. გურულების მიბაძულებით ირ. ცხვედიანმაც განიზრახა ჩვენში უმაღლეს სასწავლებლის გახსნა. პროფესორებათ მოიწვია: ტ. ახვლედიანი, ან. ჩიქოვანი და მღვდ. ი. მარგიანი. პრივატ-დოცენტებათ: მელ. გარდაფხაძე, კოს. გელოვანი, კ. დადეშქელიანი და შ. ყრუაშვილი. საჭიროა ნივთიერი დახმარება, რაიცა მიიღება მაზრის სასამართლოში.

—

ბათუმი. როგორც მოგეხსენებათ ბათუმს გაუცრუვდა „ნახევარ კაპეიკიანი“ იმედი. დამწუხრებულნი მოქალაქენი ყურ ჩამოყრილნი დადიან ქუჩებზე ორი თვით გლოვა გამოცხადდა. სამგლოვიარო ძაძის საყიდლათ თანხა აღარ აღმოჩნდა ქალაქის კასაში და ნისიათაც არავინ იძლევა.

—

იქიდანვე. ქალაქის საავადმყოფოს ანუ ეგრეთ წოდებული ჰაყაყეთის რევიზიის საქმე მეტის მეტათ რთულდება. სასტიკ რევიზიას ზედამხედველის და სხვა მოსამსახურეთა დათხოვა მოჰყვა.

ახლა კითხვა დაისვა რევიზიის ნდობა-არ ნდობის შესახებ. ვნახოთ!

—

შილდა. (თელავის მაზრა). ვისაც ქანქარი აკლია მობრძანდეს შილდაში მამასახლისათ. სამსახურის გათავების შემდეგ ჯიბე გატენილი წავა. ამას დაამტკიცებს შილდაში მამასახლისათ ნამყოფი ბ-ნ ვ. გოიშვილი. ზოგ აქაურ ხუცეს ახირებული ხასიათი დასჩემდა. მიცვალებულის დამარხვას და დაქორწინებას როდესაც მას მოეპრიანება მაშინ ასრულებს პატრონს არავინ კითხავს, ესეც ქანქარის ბრალია.

კოტე.

იუმორისტულ პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 8. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბურახაძე.